



თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი  
TBILISI HUMANITARIAN TEACHING UNIVERSITY

---

## ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

---

საუნივერსიტეტო სასწავლო კურსების 2018-2019 სასწავლო წლის  
შემოდგომის სემესტრის აკადემიური მოსწრების ანალიზი



## შესავალი

თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში 2019 წლის მარტში ჩატარდა სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომლის მიზანიც იყო სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებაში არსებული ტენდენციების გამოკვეთა.

ხუს-ის მიერ დამუშავდა აკადემიური მოსწრების მონაცემები ფაკულტეტებისა და პროგრამების მიხედვით. წარმოდგენილი კვლევა მოიცავს ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსების აკადემიური მოსწრების ანალიზს, რომლისთვისაც გამოყენებულია რაოდენობრივი და შედარებითი ანალიზის მეთოდი.

2018 წლის შემოდგომის სემესტრში ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე სახეზე გვაქვს ქვემოთ წარმოდგენილი შედეგები:

- 1. სასწავლო კურსი - თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები**  
კურსზე დარეგისტრირდა - 73 სტუდენტი, რომელთაგან 62 (85%) სტუდენტმა მოახერხა სასწავლო კურსის წარმატებით დაძლევა, ხოლო 11 სტუდენტმა უარყოფითი შეფასება მიიღო (15%). შეფასებების გადანაწილება იხილეთ ცხრ.1-ში.
- 2. სასწავლო კურსი - ინგლისური ენა 1**  
კურსზე დარეგისტრირდა - 111 სტუდენტი, მათგან 93 სტუდენტმა შეძლო სასწავლო კურსის წარმატებით დაძლევა, რაც სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების 84 %-ს შეადგენს, ხოლო 18 სტუდენტმა ვერ დაძლია სასწავლო კურსი. შეფასებების გადანაწილება იხილეთ ცხრ.1-ში.
- 3. სასწავლო კურსი - აკადემიური წერა**  
კურსზე დარეგისტრირდა - 69 სტუდენტი, მათგან 50 სტუდენტმა (72.5%) შეძლო დადებითი შეფასების მიღება, ხოლო 19 სტუდენტმა ვერ დაძლია სასწავლო კურსზე არსებული მინიმალური ბარიერი (27.5%). შეფასებების გადანაწილება იხილეთ ცხრ.1-ში.
- 4. სასწავლო კურსი - ინგლისური 3**  
კურსზე დარეგისტრირდა - 25 სტუდენტი. მათგან 23 სტუდენტმა (96.2%) წარმატებით დაძლია სასწავლო კურსი, ხოლო 2 სტუდენტმა ვერ შეძლო კურსის დაძლევა, რაც კურსზე რეგისტრირებულ სტუდენტთა 3.8%-ია. შეფასებების გადანაწილება იხილეთ ცხრ.1-ში.



ცხრ. 1. ზოგადსაუნივერსიტეტო კურსებში მიღებული შეფასებების განაწილების შედარება კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის რეკომენდებულ პროცენტულ მაჩვენებლებთან

ECTS რეკომენდებული პროცენტული მაჩვენებელი	მიღებული შეფასებების განაწილება, %			
	თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები	ინგლისური ენა-1	აკადემიურ წერა	ინგლისური ენა-3
A – 10%	A – 8.2%	A – 8.1%	A – 8.1%	A – 3.8%
B – 25%	B – 9.6%	B – 11.7%	B – 11.7%	B – 15.3%
C – 30%	C – 11%	C – 8.1%	C – 8.1%	C – 15.3%
D – 25%	D – 23.3%	D – 23.4%	D – 23.4%	D – 19.3%
E – 10%	E – 32.9%	E – 33.4%	E – 33.4%	E – 42.3%

აღნიშნული ანალიზით ჩანს, რომ A შეფასება 3 სასწავლო კურსში, გარდა ინგლისური ენა 3, რეკომენდებულ პროცენტულ მაჩვენებელთან მიახლოებულია, თუმცა ნაკლებია მასზე. რაც შეეხება B შეფასებას, არცერთი ზოგადსაუნივერსიტეტო სასწავლო კურსის მაჩვენებელი არ არის მიახლოებული რეკომენდებულ პროცენტულ მაჩვენებელთან.

C შეფასების შემთხვევაშიც ანალოგიური მოცემულობაა, პროცენტული მაჩვენებლები აშკარად ჩამორჩება რეკომენდებულ პროცენტულ მაჩვენებლებს, რასაც ვერ ვიტყვით D შეფასებაზე, სადაც ოთხივე სასწავლო კურსი მიახლოებულ თანხვედრაშია.

განსხვავებული მონაცემი გვაქვს E შეფასების გაანალიზებისას. აქ ყველა ნიშნული სცდება რეკომენდებულ პროცენტულ მაჩვენებლებს.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზის შედეგად შემდეგი მოცემულობა იკვეთება: სასწავლო კურსებზე სტუდენტთა აკადემიური მიღწევები იშვიათად ემთხვევა კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის ევროპული სისტემის რეკომენდებულ პროცენტულ მაჩვენებლებს, რაც შეიძლება სხვადასხვა მიზეზით იყოს გამოწვეული, მათ შორის: სასწავლო კურსის სირთულე; სასემინარო მეცადინეობებზე დასწრების დაბალი მაჩვენებელი; სტუდენტების არასაკმარისი მოტივაცია.

**რეკომენდაციები:**

- 1) ხუს-ის მიერ ჩატარდეს დამატებითი შეხვედრები სასწავლო კურსების წამყვან პედაგოგებთან და მათთან ერთად მოხდეს წარმოდგენილი საკითხების განხილვა;
- 2) ფაკულტეტის დეკანებმა, კოორდინატორებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა ჩაატარონ სტუდენტებთან შეხვედრა და განიხილონ:
  - ა) სასწავლო კურსის სირთულე;
  - ბ) სასემინარო მეცადინეობებზე დასწრების მაჩვენებელი;
  - გ) სტუდენტების მოსაზრებები სასწავლო პროცესზე.
- 3) ჩატარდეს სტუდენტების გამოკითხვა სასწავლო კურსების მიხედვით და შედეგების ანალიზი გაუმჯობესების გზების იდენტიფიცირებით.